

ახალი თარიღი

ნოვუს რეკლამა



@! 2 @@ fghbkb7 @)!@

!% ფგკკლფყ
ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+
ბუალო - ნერსეჟაკი
ქალი, რომელიც სიხოსხლან გამოასალმან
შედეგი - ეჯი ელიგეი
თვითთქვლელის ანდარკი
წიგნი და ვაზეთი ერთად 2,5 ლარი



194 (5784)

afcb5 #) stshb



დავით ბერძენიშვილი: ქართულ ოცნებაში“ ხელისუფლების აგენტებმა პერ იმუშავეს

ყველაზე დაძაბული ბრძოლა სამეგრელოში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში იქნება

ლაშა თორღია: ნინო ბურჯანაძეს შეუქლია სასამართლოში მიჩივლოს!



**ბიკი სავარაიშვილი:
სააკაშვილმა
ნარკოტიკაზე
ტესტი
უნდა ჩააბაროს**



პარლამენტში
„ქართული
ოცნების“
მაისურიანი
ახალგაზრდები
გამოჩნდნენ



**მოკლა თუ არა
პოლიციამ კიდეც
ერთი ახალგაზრდა?**

ილოვანს მოწვევას აუხაზები ყუმბარებს ესპრიან



**სასამართლო
სინილან
მკვლარი
პატიმარიც კი
არ
გაათავისუფლა**

**ზურაბ
ბენაძე:
ნორმალურად
მსოფრეობა თუ
ბინდა,
არმინტოგაზე
არ უნდა
იოცნებო**




აფხაზ ქალებს
კი
შუაზიელებზე
გათხოვებას
უკრძალავენ

**ჩხეიძე
შეშუავერების
ბაღით
შენახდა**



ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+
რეკლამა
*** ფგკკლფყ**





ქეთი ხიმშიაშვილი

როგორ აფასებს სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიშს, რა რეაგირებას ახდენს პატიმრების არასათანადო მოპყრობისა და წაშლის ფაქტებზე, რატომ დააფარეს ხელი მინისტრ კალმახელიძეს და რას პასუხობს ბურჯანაძის ბრალდებებს? „ახალ თაობას“ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა თორდაი ესაუბრა.

ლაშა თორდაი:

სახალხო დამცველის ანგარიში ჩვენითვის ყოველთვის საყურადღებოა, რადგან ის რეკომენდაციები და პრობლემები, რომლებიც არის წარმოჩენილი, ჩვენითვის ერთგვარი სახელმძღვანელო დოკუმენტია, რათა ეს პრობლემები შემდგომში მოვაგვაროთ და გადავჭრაოთ. ამიტომ, როდესაც საუბარი სახალხო დამცველის რეკომენდაციებზე, 2010 წლის სახალხო დამცველის ანგარიშში მოცემული რეკომენდაციები რომ ავიღოთ, ამის 40% არის შესრულებული და არც ერთ ქვეყანაში არ არის 100%-იანი მაჩვენებელი. თუმცა, რა თქმა უნდა, ამ პროცენტის გაზრდა, ანუ მეტი რეკომენდაციის შესრულება მაჩვენებს, რომ ჩვენ გვინდა ის პრობლემები, რომელზეც ომდებოდა საუბრობს, ბოლომდე იქნას აღმოფხვრილი. თუმცა არის საკითხები, რომლებიც საჭიროებს, მაგალითად, მთელი რიგ ფინანსურ დახმარებებს ბიუჯეტიდან, ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებას და ა.შ. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცით, რომ ის პრობლემები, რომელზეც საუბრობს ომდებოდა, რეალურად არსებობს, ვთქვათ, პენიტენციურ სისტემაში, დევნილებთან მიმართებაში და ა.შ.

და რა კეთდება ამ პრობლემების აღმოფხვრელად იგივე პენიტენციურ სისტემაში? საპატიმროებში საკმაოდ მძიმე მდგომარეობა და ომბუდსმენის ანგარიშის დიდი ნაწილიც სწორედ ციხეებში არსებულ უმძიმეს მდგომარეობას დაეთმობა...

რა თქმა უნდა, ძალიან დიდი ნაწილი სახალხო დამცველის ანგარიშის ეტაპზე პენიტენციურ სისტემას, ვინაიდან ეს არის სფერო, სადაც ძირითადი, მთლიანად ხდება რეფორმირება ამ სისტემის, ვინაიდან მძიმე შემთხვევებში, რომელიც ამ სფეროშიც არსებობდა, საჭიროებს გადაწყვეტას და ვიმეორებ, ძალიან დიდ ფინანსურ დახმარებას სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. მაგალითად, როგორც არის ახალი ციხეების აშენება, ჯანდაცვითი პრობლემების დაწესება და ა.შ. ვინაიდან ეს არ არის ის ფერო, სადაც, როგორც სამთავრობო ცხოვრებაში ხდება ჩვეულებრივად, ვთქვათ, კარგი ექიმი მოიხილო, აქ არის ყველაფერი საპეციფიკურად, სხვაგვარად ვაკავთ უფრო, ვინაიდან არ არის ეს ისეთი პასუხისმგებელი სფერო, სადაც მიიყვან ძალიან კვალიფიციურ ექიმს, რომელსაც, მაგალითად, გარეთ აქვს ძალიან დიდი ანაზღაურება. აი, მას ნამდვილად არ აქვს სურვილი, იმუშაოს ციხეში ექიმად. ამიტომ ეს ყველაფერი საჭიროებს გლობალური მდგომარეობის და მთლიანად შეიცვალა პრიორიტი ექიმების, ასე ვთქვათ, გადამზადების ნაწილში, ან მათი დაინტერესების ნაწილში იმუშაონ ციხის შიგნით პატიმრებთან და აქ არის, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული კონდიტრეზი საუბარი. ყოველ კონკრეტულ ადამიანს, ვინც იმუშავებს ციხეში, იქ მუშაობის მოტივაცია უნდა გაუზიაროს. სწორედ ამიტომ დაარსდა სასწავლო ცენტრი დაახლოებით 3 წლის წინ, სადაც ხდება გადამზადება ყველა თანამშრომლის, მათ შორის, იმ ადამიანების, ვისაც უშუალო კონტაქტი აქვთ პატიმრებთან, ეს ეხება ბადაჩას და აქ არის საუბარი ძალის მინიმალურ გამოყენებაზე და ა.შ. ვინაიდან ამ სისტემაში რეალურად მოქმედებდა ველური წესები თუ როგორ შეიძლება, ვთქვათ, მართვა ამ დანერგულ ციხეებს. ახლა მართვის სისტემა მთლიანად შეიცვალა, კვლავისმომ იმას, რომ ჩვენ ვაკავთ დიდი ისეთი მართვიდან, როდესაც კანონიერი ქურდი მართავდა ციხეს, მართვის ასეთ მიდევნებაზე.

ლაშა თორდაი: ნინო ბურჯანაძეს შეუძლია სასამართლოში მიჩივლოს!



ამიტომ ამ სისტემის მოწესრიგება გულისხმობდა მთლიანად რეფორმირებას, მართვის სისტემიდან დაწყებული, ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების, ჯანდაცვის პრობლემებით დამთავრებული. ჩვენ სრულიად ახალი სისტემები შემოვიღეთ, მაგალითისთვის, ძალაშით სარგებლობის უფლება, გრძელვადიანი პაენების სარგებლობის უფლება და, რა თქმა უნდა, ჩვენივის მთავარი ყურადღაღები ასევე არის არასათანადო მოპყრობა და ნაშების ფაქტები.

და რა რეაგირებას ახდენს არასათანადო მოპყრობისა და ნაშების ფაქტებზე, სადა წინააღმდეგობა?

ყოველ კონკრეტულ ფაქტში დაკავშირებით ჩვენი მიდგომა ასეთია - აუცილებელია, მოხდეს ამაზე შესაბამისი რეაგირება და ხდება კომუცა, თქვენ იცით, რომ 3 თანამშრომელი საპატიმრო დაწესებულების დღესაც იხდის სასჯელს და იმყოფება საპატიმრო დაწესებულებაში იმის გამო, რომ არასათანადო მოპყრობაში იქნა შემჩნეული, ხოლო 199 თანამშრომლიდან ზოგი გათავისუფლდა სამსახურიდან, ზოგიც კი, დისციპლინარულად იქნა დასჯილი. ეს სისტემა, რა თქმა უნდა, შორს არის იდეალურისგან, თუმცა ჩვენ ყოველდღიურად ვხედავთ ერთ რაღაცას - ამ მიმართულებით იდგმება კონკრეტული ნაბიჯები.

თუმცა ბინენ ბევრია მსგავსი შემთხვევები... აი, მაგალითად, ციხის სამკურნალო დაწესებულებაში შირი ში ჩაუყვარ პატიმრები და იქ სიტუაცია. ამაზე რას იტყვიან და როგორ უნდა დაესაგნოს სურტილი ამ ყველაფერს?

ვიმეორებ, არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით უნდა იყოს ადეკვატური რეაგირება და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე უნდა იყოს დასჯილი ყოველი კონკრეტული ადამიანი. ამიტომ, რა თქმა უნდა, ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ ამ ფაქტებს და ამ ფაქტების გამოძიების მსვლელობას, რომელიც უკვე აღძრულია საჭიროების მთავარ პრიორიტეტურაში. რა თქმა უნდა, ის სტატისტიკა, რომელიც გულისხმობს, რომ 3 ადამიანი სასჯელს იხდის და სხვადასხვა ადამიანები გათავისუფლებული იქნენ სასახეში, რადგან იმის ნიშნავს, რომ ამ მოპყრობის გამო ხელი არავის დაეფარება. რა თქმა უნდა, ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ, თუ როგორ დამთავრდება ყოველ კონკრეტული საქმე.

დისკუსიონარული პრეპარატი რატომ შედის საპატიმროებში? ნინო ნულსაც ვარაუდობდნენ, რომ ომბუდსმენის ანგარიშში კალმახელიძის გადათავსება, თუმცა ეს არა თუ მაშინ, არამედ ნულსაც არ მოხდა, ამგვარად რატომ დააფარეთ ხელი კალმახელიძეს?

ხელის დაფარებაზე არ არის საუბარი, აქ არის საუბარი იმაზე, წინ მიდის თუ არა ის რეფორმები, რომელიც არის დაგეგმილი ამ სისტემაში. მათთან კალმახელიძე პასუხისმგებელია მაშინ, როდესაც სისტემურ ხასიათს იქნის ეს საბარათალი დაწესებულება და სისტემურია თუ არა ის კანონდარდღევა, რომელიც საუბრობს, ვთქვათ, სახალხო დამცველი ამა თუ იმ შემთხვევაში. ჩვენ ვხედავთ, რომ ეს არ არის სისტემური, ეს არის ლოკალური შემთხვევები აქა თუ იქ. ლოკალური შემთხვევები კი აბსოლუტურად ყველა ქვეყანაშია. ასეთ შემთხვევაში ლოკალურად უნდა მოხდეს აღმოფხვრა ამ პრობლემების და ლოკალურად უნდა მოხდეს პასუხისმგებაში მიცემა ერთი კონკრეტული ადამიანის. ჩვენი ომონეტრების მიზანი კი ამ შემთხვევაში არის პოლიტიკური სკანდალის შექმნა, ამისგან პოლიტიკური დებებების გამოწვევა და ა.შ. ჩვენი მიზანი კი არის ის, რომ არსებობდეს განვითარებული, რა პრობლემებია ამ სისტემაში. თუ არის სისტემური პრობლემა და ეს სისტემური პრობლემა უკვე აღძრება მთელ კერ-

ტიკალს, რომელიც მართავს ამ სისტემას, რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვაქვს პრობლემა, რომ დავინახოთ ეს და ამაზეც მივიღოთ გადაწყვეტილებები; თუმცა, როდესაც საუბარი სულ სხვა თემატიკაზე, რომ ერთ შემთხვევაში ასე მოხდა, მეორე შემთხვევაში კი კონკრეტული ადამიანი დაისაჯა, აი, ეს საჭიროებს გამოძიებას და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული ადამიანის პასუხისმგებაში მივყავართ.

მოკლედ, თვლით, რომ კალმახელიძე არ არის პასუხისმგებელი იმაზე, რაც ხდება მის უწყებაში და მისი პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დადგეს?

დიახ, ასე ვთვლი, იმის გამო, რა არგუმენტებიც ზემოთ მოვიყვანე. ვიმეორებ, თუ ეს არის სისტემური პრობლემა, მაშინ ნიშნავს იმას, რომ ამას თავში უდგას მინისტრი, ან შესაბამისი ხელმძღვანელი პირი და როდესაც ეს არ არის სისტემური პრობლემა და როდესაც საუბარი კონკრეტულ შემთხვევაზე და ამ შემთხვევაშიც ვხედავთ, რომ ადამიანები მიეცნენ პასუხისმგებაში, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვეულებრივად ხდება ამ საქმეების გამოძიება. თუ იქნება სისტემური პრობლემა, ჩვენი მხრიდან ძალიან მწვავე რეაგირება იქნება.

2010 წელს ციხეში 142 ადამიანი გარდაიცვალა, 2011 წელს კი - 140, ანუ სიკვდილიანობის პრობლემა კვლავ დგას, ეს რა შედეგია იმის, რეკომენდაციების შესრულებაზე და პრობლემების გადაჭრაზე?

სიკვდილიანობა არის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე საკითხი, რომელიც ჩვენ უნდა გვახსოვდეს და ეს სიკვდილიანობა უკვე აღძრება ვალკვლად დაავადებებს, რომლის სამართავად აქვს ძალიან დეტალურად გაკეთებული სახალხო დამცველს - გულ-სისხლძარღვთა დაავადება, ონკოლოგიური დაავადებები, ტუბერკულოზი. მინდა გითხრა, რომ ტუბერკულოზმა მსხვედრი ადგილიდან უკვე მეოთხე გადაინაცვლა, რაც ნიშნავს იმას, რომ ტუბერკულოზით გარდაცვალების ფაქტები შემცირდა, ანუ მოხდა ამ დაავადების კონტროლიც აყვანა და ამ კონტროლის ასაყვანად მთელი რიგი ნაბიჯები გადაიდგა. რაც გულსისხლძარღვთა დაავადებების, იგივე სისტემით ხდება მკურნალობა საპატიმროში მყოფი ადამიანებისა, ანუ ის ექთნები, რომლებიც ჩვეულებრივად მუშაობენ ტუბერკულოზის ერთგულ ცენტრში, იგივე ადამიანები ამომზებენ პატიმრებსაც და ხდება მათი მკურნალობა. 2011 წელს დაიწყო მუდმივი სკრინინგი, ყოველკვირულად მოწმდება თითოეული ფლიგელი, რომელსაც მიწინილი ჰქვას ერთი ექთანის, იგი ამომზებს, ეს არის ნახევარი ადამიანი, მთელი პროცედურა და ხდება დროულად იზოლირება იმ ადამიანების, რომლებიც არიან ამ სენით დაავადებულნი, რათა არ მოხდეს დაავადების გავრცელება სხვა პატიმრებზე. ამან გამოიწვია ის, რომ ამ დაავადებამ გადინაცვლა მეოთხე ადგილზე.

თქვენ, ეს ყველაფერი არ არის საკმარისი მდგომარეობის გამოსწორება...

ჩვენ ვერანაირად ვერ ავცდებით გარდაცვალების ფაქტებს პენიტენციურ სისტემაში, რადგანაც საუბარია 23 ათას ცხრასა პატიმარზე, გარკვეული უმეტესობა შემთხვევებიან ცალკეულ დაავადების გამო გარდაცვალების ფაქტები იარსებებს, თუმცა ჩვენი მიზანი არის, რომ ყველაფერად იყოს ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სისტემა, შედეგობები, რათა შესაძლებლობა იყოს, რომ ეს ადამიანები განაკურნონ.

გასაბეჭად... ბურჯანაძე უნდა გკითხოთ, ალბათ, იცით, რომ სასამართლოში გიჩივიან...

ამაში ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ. ქალბატონ ნინოს აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს. ამ საკითხზე დამატებითი კომენტარის გარეშე თან შევიკავებ, ეს მნიშვნელოვან თემად საერთოდ არ მიმაჩნია.

ბურჯანაძე აცხადებს, რომ 26 მაისის მიხი ოჯახის უყოფალი მანქანის 2 პოლიციელითა და გარდაცვლილი და თქვენ იტყვით...

მე ჩემი თვალით ვნახე ის ფაქტები და მგონი, მთელმა საქართველომ ნახა, როგორ არის მანქანის ქვეშ მოხვედრილი პოლიციელი, რომელიც რამდენიმე მეტრში ათორია მანქანამ, ამიტომ ჩემი შეფასება არის ასეთი და ნამდვილად ვერანაირ ამოკრძალვას, შეფასებებს ვაგვიტოვებ ასეთ საკითხთან დაკავშირებაში. საერთოდ არ მინტერესებს ეს თემა. მე მგონი, სხვა თემებზე ღარაქვთ ამ ადამიანებს, ამიტომ ცდილობენ, რომ ახლა, როდესაც სკანდალი შექმნან ამისგან. არადა, რაც ყველაზე ნახა თავის თვალთა, სწორედ ამაზეა აქ საუბარი.

Advertisement for 'ახალი თაობა' (New Generation) featuring contact information for Lash Toridze and other individuals, including phone numbers and email addresses.



ივრეას მოწვევას აუხაზები ყუმბარებს ესპრიან

თეა მარსვასიძე

აფხაზეთში სერიოზული დემოგრაფიული პრობლემები აქვთ. დაუსრულებელი ინფორმაციით, სომხები აფხაზეთში გაცილებით მრავალად არიან, ვიდრე აფხაზები. ამიტომაც ექვედრებიან თურქეთში მცხოვრებ მუხაჯიდებს. აფხაზეთში დაბრუნდნით.

მუხაჯიდები არ ბრუნდებიან, სა-მაგიეროდ ათასი ჯურის ხალხი ჩადის იქ. აფხაზური მედია ჩივის, რომ შერეულმა ქორწინებებმა იმატა. რაც მათთვის მიუღებელია. ამის გარდა აფხა-

გოგონების ქმედება უკვე საშიშ სახეს ღებულობს.

— როდესაც ჩამოსულეთან აფხაზი გოგონები მასობრივად აბამენ რომანს ეს უკვე ერისთვის არის ძალიან საშიში, — წერს აფხაზური გამოცემა.

სტატიის მიხედვით თუ ვისაჯულებთ, აფხაზი გოგონების სასიყვარულო ურთიერთობები საყოველთაო განსჯის საგანი გამხდარა. და სიყვარულის ისეთი ციხელი დაწიებულია, რომ ამ რომანებით ადგილობრივი სამარ-თალდამცავებიც კი დაინტერესდებიან. აფხაზ მილიციელებს გონივრული ეჭვის საფუძველზე დაუუკითხიათ გასათხოვარი აფხაზი გოგონები. ვერც გაამტყუნებ აფხაზ სამართალდამცავებს. სხვა თუ არაფერი, შთა ინტერესებით, რა ბაქილა შეყვართ მათ გოგონების ისეთი, რომ გასტერბაიტერებზე გაჯიფდნენ.

ყურნალისტ ზაირა ცვიფებას ინ-

აფხაზ ქალებს კი შუაჩივილებზე გათხოვებას უკრძალავენ

ციფება ასევე ყურადღებას ამახვილებს ადგილობრივი გოგონებისათვის შესაფერისი საქმეობის დეფიციტზე.

— ყოველწლიურად ავარიებში ათეულობით მასობრივად იღუპება. ზოგირთი ახალგაზრდა სწორ გზას სცდება და ციხეში ხვდება. ციხიდან ჯანმრთელობაში შეყვარებული გამოდიან. კიდევ სხვა სატკივარია — ნარკოტიკები. ის ახალგაზრდები, რომლებიც ნარკოტიკებს მოიხმარებენ, 4-6 წლის განმავლობაში მამაკაცულ ძალს კარგავენ. უკვე აღარ გასაუბრობთ იმაზე, რომ ნარკოტიკები მონიღულ ასაკამდეც კი ვერ აღწევენ. არის კიდევ ერთი უბედურება — ალკოჰოლიზმი. ასევე კრიმინალური გარემოები, რომლებიც უშუალოდ შემთხვევაში მკვლელობებით მთავრდება. ამდენად, ადგილობრივი გოგონების ინტერესი აფხაზეთში ფულის საშოვნელად ჩამოსულ გასტერბაიტერებისადმი ახსნას ექვემდებარება, — ასეთი დასკვნა აქვს ზაირა ცვიფებას.

ციფებას არაფერი დაუწერია ივრეაზე. რომელიც აფხაზებისთვის უკვე დიდი ხანია თავის ტკივილად იქცენ. აქაურ ეკლესიაში მოვეხსენებთ დიდი დაპირისპირება. რამაც ივრეას მოწვევების გამრავლებას შეუწყო ხელი.

ჩვენგან განსხვავებით აფხაზები მათ ცუდი თვლით უყურებენ. მიმდინარე წლის 7 აპრილს კი ყუმბარა შეუტანეს. ის ირეიდენტი რუსულმა მედიამ აქტიურად გააშუქა. დაზარალებულები იმედოვნებენ, რომ ამ დაქტს სათანადო რეაგირება მოჰყვება.

ინციდენტი ქალაქ გავრაში მოხდა. იმ შემთხვევაში სადაც ივრეაში შეკრებილი იმართებოდა ყუმბარა აფეთქება. აფეთქების შედეგად არაერთი დაზარალებული იქნა. ივრეა ივრეას მოწვევა საფიზიკო სერიოზული და დაზარადა.

რუსული მედიის ცნობით, ყუმბარა ეზოში უცნობა პირმა შეაგდო და ადგილიდან გაუხინარდა. ყუმბარა ბეტონზე დავარდა და იქვე აფეთქდა. იმ მომენტში შემთხვევის ადგილზე მხოლოდ შენობის დარჩა იმყოფებოდა, რომელზეც მოხდა იმის მიხედვით.

როგორც აფხაზეთში მცხოვრები ივრეას მოწვევები ამბობენ, ეს მათ შენობაზე თავდასხმის პირველი შემთხვევა არ არის. რუსული მედიის ცნობით, ხშირად ყოფილა შემთხვევები, რაც შეგრძობის დარჩენის მიხედვით შეიარაღებულ პირებს უღლიათ შეჭრა.

საპროლო აფეთქება ივრეას მოწვევა რუსეთის ცენტრის ხელმძღვანელებს გამოეხმაურა. რუსული პორტალები დღემდე აქტიურად აშუქებენ ამ თემს.

რუსი ივრეალების ლიდერი გრიგორი მარტინოვი მომხდარის გამო სერიოზულად არის შემოთვალისწინებული.

მისი მტკიცებით, ივრეას მოწვევა ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა შეწყვიტეს ახორციელებდნენ თვით აფხაზეთის სამართალდამცავი ორგანიზაციის წარმომადგენლები.

— გასულ წელს და წელსაც, სახელმწიფო უშიშროების სასახურის და აფხაზეთის სხვა სამართალდამცავი ორგანიზაციის თანამშრომლებმა არარეალურ სავსე შეწინააღმდეგებდნენ ივრეას მოწვევა რელიგიური შეხედრების ჩატარებას, — ამბობს მარტინოვი.

მისივე თქმით, ივრეა შეხვედრები, როცა სამართალდამცავი ძალები გამოეხივებოდა შეჭრილი შემთხვევა, ამოუღიანო ლიდერებთან და მომხრეებთან პირადი მონაცემები.

მარტინოვი პირობას იძლევა, რომ ამ საკითხს ახვარ დატოვებს. ის იმედოვნებს, რომ დანაშაულები სათანადოდ დაისჯება.



ნეთში სექტანტებიც მომრავლდნენ. რომლებსაც აფხაზებმა შეურაცხველი ბრძოლა გამოუცხადეს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობის გაგებით. შენობას, სადაც აფხაზი ივრეას მოწვევის ივრეაში, 7 აპრილს ყუმბარა ეფეთქდა. სანამ „დაუმზარებელი“ ივრეას მოწვევებზე ვისაუბრებთ აფხაზ ქალების მიუხედავად.

ამ თემაზე აფხაზური გამოცემები აქტიურად წერენ. გამოცემა „რესპუბლიკა აფხაზი“ კი სერიოზული განცხადებას აქვს წერილი თავის გვერდზე „ექსპერტთა კლუბში“ გამოიქვეყნა.

„რესპუბლიკა აფხაზი“ ყურნალისტიც შემოთვალისწინებდა იმის განხილვას, რომ აფხაზი გოგონები შუა აზიიდან ჩასულ გასტერბაიტერებთან იქერნ საქმს.

— გასტერბაიტერებთან ერთად, რომლებიც აქ მუშობენ და რომელთა მზარდი რაოდენობა გავსიზღვრება, აფხაზეთში შეიქმნა პიკანტური ვითარება, რომელიც დაკავშირებულია, ასე ვთქვათ, მათთან სასიყვარულო ურთიერთობებთან. ვფიქრობ, ყველა შეიქნება სმენია იმის შესახებ, რომ უკვე არსებობს გასტერბაიტერებთან ქორწინებაში მყოფი ოჯახები, — წერს გამოცემის ყურნალისტი ზაირა ცვიფება.

ციფებას ინფორმაციით, აფხაზი გოგონები გასტერბაიტერებთან ოფიციალურ ქორწინებაში არ იმყოფებიან.

— გასტერბაიტერებს გააჩნიათ სხვადასხვა გეოგრაფიული ადგილზე მცხოვრები რამდენიმე ცოლის შერევის ჩვეულება, რომლებიც მათ სჭირდებათ ბინაში ჩაწერისა და ხელისუფლებისადმი დასამალვად. გოგონები, რომლებიც თავიანთი ცხოვრების მიწყობას გასტერბაიტერებს უკავშირებენ, სხვადასხვაიანი არიან. არიან უმაღლესი განათლებით და ნაკლებად განათლებულები, არიან პრესტიჟული ოჯახებიდან და პრობლემურებიდანც. თუქცა ამას მნიშვნელობა არააქვს. მნიშვნელოვანია თვით ახალი სოციალური მოვლენის ფაქტები, — აღნიშნავს ცვიფება.

მას თუ დაუჯერებს კაცი აფხაზი

20 აპრილს ჰაილმენსში დიდი ყჩიამელი იყო. საკანონმდებლო ორგანოში ახალგაზრდების ჯგუფი გამოჩნდა. ახალგაზრდები და ყჩიამელი აქ ახავის უყვიხს. გაევიხება მათმა ჩაცმელობამ გამოიწვია. ახალგაზრდებს 'ქაიხური ოცნების-მაისუხები უყვართ. ნაციონალური ჰაილმენსში ასე ჩაცმული ჯგუფების ნახვამ ყველა გააევიხა.

თქვენ არ გაიკვირვით და არც შეიცხადით. მიაჯობა ჯერ არ შეცვლილ. ახალგაზრდები იქ ოპოზიციასთან შესახვედრად მივიდნენ. პარლამენტში „ქართული ოცნებას“ ფრაქცია ერთობა სამართლიანობისთვის ამაგრებს. ახალგაზრდები ამ ფრაქციის ერთ-ერთ ლიდერს შეხვდნენ. გია ცაგარეიშვილმა შეოცნებებ ახალგაზრდებს დიდი სიხარულითა და ბევრ რამეზე ისაუბრეს. ქვეყნისთვის საჭირობოროტო საკითხებზეც არ გამოჩნდნენ. ამ საუბარ-საუბარში ნარკოტიკებამდეც მივიდნენ.

ეს თემა ჩვენში ძალიან აქტუალურია. ანტინარკოტიკული კამპანია ჩვენში უკვე წლებია რაც მიმდინარეობს. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ეს თემა ძალიან აქტუალურია. პოლიტიკოსები დაჟინებით ითხოვენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ნარკოტიკებზე შემოწმდნენ. ცაგარეიშვილთან სტუმრად მყოფი ახალგაზრდები ამ საკითხით ძალი-

გია ცაგარეიშვილი: სააკაშვილმა ნარკოტიკებზე ბანკი უნდა ჩააბაროს



პარლამენტში „ქართული ოცნების“ მაისურიანი ახალგაზრდები გამოჩნდნენ

ან იყვნენ დაინტერესებული. მათ დაინტერესებდათ ტარდება თუ არა ხელისუფლების წარმომადგენლების შემოწმება. ეს კითხვა გია ცაგარეიშვილს ახალგაზრდების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა დაუსვა.

— აღნიშნული საკითხით მას შეხვედა დავიდ ტრენდისი, რაც ბოლო დროს გავრცელებული კადრები უმაღლესი თანამდებობის პირები უზიარებლად მდგომარეობაში იყვილეს. — განაცხადა სტუმარმა.

ცაგარეიშვილმა მოიპოაბის წევრებს განუმარტა, რომ ფრაქციის წევრებმა აღნიშნული საკითხი სხვადასხვა დროს რამდენჯერმე დასვეს.

— ფრაქციის ახლანდელ თავმჯდომარეს დიმიტრი ლორთქიფანიძეს ჰქონდა მეტად მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელიც ყველა თანამდებობის პირს ავალდებულებდა ნარკოტიკების თვის ღირსი შემოწმებით გაეცალა. აღნიშნული ინიციატივას პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დიდი ენთუზიაზმით შეხვდა და ჯანდაცვის მინისტრთან ერთად პირობა დადო, რომ პირველი თვითონ გაეცილა ასეთ შემთხვევაში, თუქცა ჩვენ დღემდე ვცდებით, სადა ჩააბარა მან საკუთარი თვის ღირსი. ეს არის რიბი მტკიცებულება იმისა, რომ ამ მიმართულებით ხელისუფლებაში მოღვაწე კარგად ვერ არის საქმე, — განაცხადა ცაგარეიშვილმა.

მიხეილ სააკაშვილისგან ამ ტესტის ჩაბარება თებერვლის თვეშიც მოითხოვეს. 28 თებერვალს ის პარლამენტს სტუმრობდა. სადაც მას გია ცაგარეიშვილმა და ჯონდი ბალათურაი წერვები მოუშალეს.

პრეზიდენტი იმდენად გამწარდა, რომ სდომიანთა დარბაზიდან გაეკარდა. რამდენიმე წუთის შემდეგ უკან დაბრუნდა. ჯონდი ბალათურის კი დაპირდა, მანდატურების გაგაყოფა, რომელიც ტალახში კარგად დაგულებულია.

ამ გამოცემის მეორე დღის დიმიტრი ლორთქიფანიძემ სააკაშვილს განაცხადა გააკეთა. მან სააკაშვილისთვის ნარკოტიკების ჩატარება მოითხოვა. იგივე მოთხოვნით გამოვიდა ინგა გრიგოლიაც.

პოლიტიკური პროცესების განმავლობაში დროს, ეს თემა ძალიან აქტუალური ხდება ყოველ. ახლაც სიმწვავეა ქვეყანაში. ურთიერ ნამდვილად არ იქნება, თუ ხელმა ჩააბარებს ნარკოტიკებს. მათ შორის ოპოზიციონერებიც. ხელისუფლების მტკიცებით, სწორედ ისინი „ზიან ნამაზეს“.



ნათია ხურცილავა

გოვა ხაინდრაგა აცხადებს, რომ საინფორმაციო ომი დასავლეთში მიხეილ სააკაშვილმა წააგო და ამას თავი წარმატებით გაართვა ბიძინა ივანიშვილმა. როგორ განვითარდება ამ მიმართულებით პროცესები, ამას დრო გვიჩვენებს.

ამ საკითხებზე ვესაუბრეთ გოვა ხაინდრაგას:

— ბატონო გოვა, პოლიტიკაში საინფორმაციო ომი ძალიან მნიშვნელოვანია. შეძლებს ივანიშვილი სააკაშვილისთვის საინფორმაციო ომის მოგებას ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში?

— ეს უკვე სახეზეა. ამერიკის შეერთებულ შტატებში მთლიანად არის დანგრეული სააკაშვილის იმიჯი. მე თუ მკითხავთ, საერთოდ პოლიტიკური გეგმაა. ეს ნათელია. ევროპისთვის ეს რომ ასეა, ცხადია, ყოველთვის ასე იყო. მსოფლიო კონიუნქტურიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ევროპული ქვეყნები მაინც, როდესაც ზედავენი რომელიღაც ქვეყნის ფავორიტ ლიდერს, ამერიკის შეერთებულ შტატებს რევერანსებს ყოველთვის უკეთებენ, თორემ ევროპამ შესანიშნავად იცის, სააკაშვილი რას წარმოადგენს. თუმცა, ახლა ევროპაშიც და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში ლაპარაკი, მე ვფიქრობ, საერთოდ უაღრესია.

— მაგრამ დონალდ ტრამპი ჩამოიდა...

— დონალდ ტრამპი ისეთივე თალითია, როგორც სააკაშვილი და ეს სახალხო ცნობილია. დონალდ ტრამპი რომ არაკეთილსინდისიერი ბიზნესმენია, ეს იცის ყველამ. გაბერილი ბუშები, რომელიც დონალდ ტრამპის სახელთან არის დაკავშირებული, მხოლოდ ბუშია და სხვა არაფერი. ამაზე მის ბიოგრაფიაშია და ეს შეგიძლიათ ინტერნეტში ნახოთ. „ამიტომ, ფერი უფროსა და მადლი ღმერთსა...“ კარგად იპოვეს ერთმანეთი. ჩემი აზრით, ეს პროექტიც, რომელზეც არის საუბარი, აბსოლუტური სიყალბეა და საპნის ბუშები. დონალდ ტრამპი თეთრის ჩამდეგი არ არის ამ პროექტში. ცნობილი სქემა ფულის გარცეხის. ასეთი „სარეცხი მანქანები“ სააკაშვილს ბეტრი აქვს და არაბოლოდ მას, მერაბიშვილსა და ბენდუქიძესაც. ტრამპი ავტორიტეტი სააკაშვილსა და მერაბიშვილისთვის, თორემ მსოფლიოში ავტორიტეტი ნამდვილად არ გააჩნია, ყოველ შემთხვევაში, ისეთი, როგორც ესენი უწყობენ, მაგრამ ქრთამი ჯოჯოხეთი ანათებს, სადაც „მნეანეებუა“ საბუბოა.

— ისევ საინფორმაციო ომს რომ დაევრუნდეთ...

— ივანიშვილი უკვე იგებს საინფორმაციო ომს. ამაზე ამერიკული პრესა მეტყველებს. უკვე სააკაშვილზე ლაპარაკი აღარ არის, როგორც რამე ტიპის პერსპექტივაზე. სააკაშვილი გუშინდელი დღეა. ეს აბსოლუტურად ნათელია.

— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

— ივანიშვილი ძალიან სერიოზული ფიგურაა. განსაკუთრებით მსოფლიოს ფინანსურ სრუებში.

— მხოლოდ ეს არის საკმარისი პოლიტიკოსობისთვის?

— სახელის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა. პოლიტიკა და ეკონომიკა ერთმანეთთან ისეა გადაჯვავებული, ფინანსური სრუები იმხელა გაუღუნებს ახდენენ პოლიტიკაზე, რომ დარჩინებული ფინანსური პოლიტიკოსობა ამას ნამდვილად არ სჭირდება. ბუნებრივია, ეს ყველაფერი ერთმანეთზეა გადაჯვავებული. ამიტომის ადამიანი, რომელსაც ძალიან კარგი და მყარი სახელი აქვს მსოფლიო ფინანსურ სრუებში, ბუნებრივია, მას არანაკლები მხარდაჭერა ექნება პოლიტიკურ სრუებშიც, რადგან ერთი მხრივ დასამუშავებელი არის. ყველას კარგად ესმის, თუნდაც ამერიკის შეერთებულ შტატებში, რამდენად არის დამოკიდებული პოლიტიკური წარმატება ფინანსურ სამყაროში ადამიანის სახელზე, წარსულზე, კეთილსინდისიერებაზე, ბიოგრაფიის გამჭვირვალობასთან. მე ვფიქრობ, კეთილსინდისიერებით ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი ერთ-ერთ



— მაგრამ დონალდ ტრამპი ჩამოიდა...

— ეს ჩანს სერიოზულ, ანალიტიკურ პუბლიკაციებში. — თუმცა, ეს უფრო ლობისტების დამსახურებაა... — რა თქმა უნდა. ეს არის პოლიტიკური ცხოვრების ნაწილი. ეს არის პროცესი. მართალია ეს ყველაფერი ლობისტური კომპანიების მეშვეობით ხდება, მაგრამ მერნშუფტი, რეალობა და მხარდაჭერა არ ექნება. იმისთვის, რომ ლობისტურმა კომპანიამ მხარი დაეჭიროს, საფუძველი უნდა ჰქონდეს, რომელსაც ის დაეყრდნობა. არაფერზე არაფერი არ შენდება. ამიტომ ვამბობ, რომ ავტორიტეტი, რაც ივანიშვილს გააჩნდა საფინანსო სრუებში, იმდენად მყარია, რომ მისი ტრანსფორმაცია პოლიტიკურ კაპიტალში რთული არ არის. ბიძინა ივანიშვილი პირველი არ არის, გაიხსენეთ ამერიკის პრეზიდენტები, საფრანგეთისა და იტალიის პოლიტიკური პერსონები. ბიზნესიდან პოლიტიკაში მრავალი ადამიანი მიდის. — ეს ცუდი ტონი უკვე აღარ არის... — მაგალითად, როდესაც განაცხადა, რადროს არჩევნების წაჭარბება, არჩევნების მიღარ ნახევარი ლარი უჯდება. დადასტურა, რომ მილიარდ ნახევარი ჰქონდათ ნაციონალურ მოძრაობას დახარჯული არჩევნებზე. „საი ფულით? მანიპულირება მათი პროფესიაა. ივანიშვილს ღია, ლეგალური და კანონიერი გზით შექმნილი კაპიტალის გამოყენებას უკრძალავენ, რადგან ემინიათ.

— სააკაშვილს ივანიშვილის ეშინია? — ძალიან. უკანასკნელი თვეები ამოშტატირია, ხან მარჯვნიდან იღებავს თბას და ხან მარცხნიდან. საპარტეზინო იყო ინციდენტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მაშინაც მთაზე. აღარ დავაკონკრეტებ, რას ვგულისხმობ. მე ვფიქრობ, რთული, უშუალოდ ფსიქოლოგიური მომენტი უდგას, მოსახურების ზონიდან გასულია, რადგან ასეთ ადგილას, სადაც იცოდა, რომ მთელი საქართველოს ყურადღება იქნებოდა, რომ მთელი პრესა

ამომრჩეველთა ლიგას 28 აპრილს აქსიის ჩატარება ივანიშვილმა გადააფიქრებინა?

იქ იქნებოდა, იქ იყო ოპოზიციაც, იქაც ამ მდგომარეობაში მოვიდა. — პრეზიდენტმა, როდესაც პარლამენტში მივიდა, თქვა, რომ ის ყველაფერს გააკეთებს, ამ არჩევნებში ნაციონალურმა მოძრაობამ ივანიშვილის ალბათ რამდენიმე მანდატზე არ საუბრობდა. რა შეიძლება იყოს გარდამტეხი ოპოზიციისთვის? — გავიხსენებ ცხელი ფილმები. — ბატონო გოვა, არის კი გეგმა? — რა თქმა უნდა, გეგმაა, სააკაშვილიც და ნაციონალური მოძრაობაც პოლიტიკური გეგმაა. ის ბერკეტები, რომელიც ჯერჯერობით ხელში აქვთ შემორჩენილი, იმხანა დაიწყო „ბუქსაობა“. მაგალითად, რითი დამთავრდა კონტროლის პალატის, უფრო ზუსტად, ადვინარის, მოგვლის ხელთი განხორციელებული კამპანია, რა შედეგი მოიტანა — არაფერი. ეს იყო ბუნებრივი ივანიშვილისთვის. ბუნებრივია, ცალკეულად იმხანები დაზარალდნენ, მაგრამ აღდგინდა საქართველოში რვა წელიწადი, საერთოდ, სიცოცხლეს ასაღებენ და სახურავებზე ადგნენ. თუ „ქართული ოცნების“ სვლა გადაეხედეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ნათლად ჩანს ის, რაც ყველაზე დიდ ანტიუმენტს იყო სააკაშვილის ხელში, ბარბაროსული მანქანის შიში საზოგადოებაში აღარ არის. — დაძლეულია? — რა თქმა უნდა. ისე არც დარე არ ყოფილა, ეს იყო სახელისუფლო პრობლემა, რომელსაც პრესაც ხელს უწყობდა. — ვინ მერაბიშვილი რომ ხერხემალი, რომ ის დღევანდელი ამომრჩეველია იყო? — საქართველოს ხერხემალი ვინაა არ არის და არც არასდროს არ ყოფილა. მითები, რომელზეც ჩვენ ვცხოვრობთ ვიღაცების უძველესი შესახებ, დიდი ხანია დასამარებელია თუ არადა, უახლოეს მომავალში საშუალოდ დასამარდება. არანაირი უძველესობაზე საუბარი არ შეიძლება. სააკაშვილს პირველი ზურგში დანახა მერაბიშვილი ჩაარტყას. — დატოვებ? — არა, ვფიქრობ, ვინა მერაბიშვილის ხელით მოხდება სააკაშვილის იზოლირება. — რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს? — მათი კარგი ცოდნა. — საიტი დღევანდელი ვინა მერაბიშვილის? — დაიხ. საქართველოში მითები უყვარს. ქართველები ადამიანებს მითებს უყვებიან. მერე იმ მითის სჯერად, აღარ აინტერესებთ, მერე ის ადამიანი რას აკეთებს. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ, როგორც საზოგადოება, შევძებოთ. საზოგადოებდრომ შევძებოთ.

მითებსა და პერსონებს თავი უნდა დავანებოთ. უნდა გვესმოდეს, რომ ყველა ჩვენგანის არის ეს ქვეყანა და ყველას ერთნაირი უფლება გვაქვს, რომ ყველას ერთნაირი ხმის და არჩევანის უფლება გვაქვს. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ეკრებებისა და მითების შექმნა.

— ამ საფრთხის წინაშე არ დგას ბიძინა ივანიშვილი? — ადამიანის პოპულარობას ხელს ჩვენ არც და ვერც შეუვლელი, მაგრამ ერთი პოპულარო-

ბა და მეორე, კერძოაფანისმცემლობა. კერძოაფანისმცემლობას უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ ხალხში უნდა ვებრძოლოთ.

— ამას ივანიშვილის მიმართაც ვამბობ? — ამას ივანიშვილის მიმართ ნამდვილად ვერ ვიტყვი. იმით, რომ მთელი მისი ცხოვრება სწორედ ამის საპრობლემაა. ის ყველაწინადად ცდილობდა, რომ ჩრდილში ყოფილიყო, რომ არანაირი კერძოაფანისმცემლობა და მითოლოგებზე მის გარშემო არ ყოფილიყო. მისი პირადი განცდილების თვალსაზრისით არ ყოფილა. ფიცი მნამს, ბოლო მაკვირებს. ერთა თეორია და მეორე, პრაქტიკა. ჩვენ გამოცდილებას ვედავით 20 წელიწადი, როგორ ცხოვრობს ეს კაცი. ახალც, რასაც მე ვუყურებ, ეს არის ზღვარგადასულ ადვრთობა და ალბათფრენას მოერიდოს.

— 28 აპრილს „ამომრჩეველთა ლიგის“ მიერ დაინიშნულ ქუჩაში გამოსვლა გადაიფიქრა თუ არა ამაში ივანიშვილი?

— არავითარ შემთხვევაში. სხვა თუ არაფერი, ის მაინც დაინიშნულია, რომ ჩვენზე გაცილენა გადაწყვეტილების მიღებაში მარტივი არ არის. მთელი ცხოვრებით დავამტკიცეთ, რომ არასც ვფიქრობთ, იმას ვამბობთ და რასაც ვამბობთ, იმას ვაკეთებთ. ჩვენ გაცივდებისნივთის პროცესებში, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს, ბუნებრივია, გაკითხვისნივთი „ქართული ოცნების“ აქტივობის დაწყება, მაგრამ ეს გადწყვეტილება მხოლოდ ამიტომ არ მიგვიოლია. მე ამ საკითხის ასეთ მნიშვნელობას არ მივანიჭებდი. სახალხო აქციების, მასობრივი მანიფესტაციების, მითინგების მოწყობა ვეცით, ორგანიზებას და ჩატარებას, ამიტომ ეს არ გაგვიჭირდება, მაგრამ შექმნილი ვითარება ვაითვალისწინებთ. ჩვენ ეს, როგორც იცია, გამოცდავად ვეცით. ლევან გაჩეჩილაძემ გამოაცხადა. ერთმანეთი რომ დავიწახოთ, ხალხს ერთმანეთი მოგვტარა. ადვინარისილმა სატელევიზიო პრობლემა და ინფორმაციული ვაკუუმი შექმნა, სადაც ადამიანებს ერთმანეთთან კონტაქტი აღარ აქვთ. ამიტომ ერთადერთი ადგილი, სადაც ჩვენ შესაძლებელია გავქონდეთ, რომ ერთმანეთი დავგვანა, არსებითი გაცეხიარებინა, იყო, როგორც წესი, სახალხო აქციები.

— მხოლოდ ეს უნდა იქონიერებდეს? — არა, მხოლოდ ეს არა. ეს პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღია, მაგრამ ამ ეტაპზე, ამ უთუბი, ამ იარაღის გამოყენება მართებული არ იქნებოდა. ერთი მსოფლიო, პირველი რიგში, სააკაშვილის კომინალური რეჟიმი აუცილებლად დაინახავს, რა ანალოგიების ადამიანი არის მომზად და არა მხოლოდ მომზად, არამედ მზად არის, რომ ყველა თავისი უფლება დაიცავს, რომელიც ადამიანს ღვთისგან აქვს ბოძებული. ეს, უპირველეს ყოვლისა, არჩევანის უფლებაა. ანალოგი, მაგრამ როდესაც რომ დავყველა სწორად დრო და ყველაზე სწორი ადგილი იქნება შერჩეული.

25 აპრილიდან

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

კანიგალიზიის ისტორია

„ისტორია და ამოუხრობი სამყარო“
მესამე ტომი
კანიგალიზიის ისტორია

ამოსულია:

პირველი ტომი
ტირანები

მეორე ტომი
100 გამოჩინილი მხედართმთავარი

ამოსასეაბდ მჟაღდება:

- უღიღანი ბრკოლევი
- 100 ლიღარი, ვინც უხვვალა ისტორია
- 100 გამოჩინილი მხენიარი
- მასონები - იღუვალე სამკო
- მაჟიის ისტორია

შანი გავათთან ერთად 10 ლარი

28 მარტიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად

იყიდება უნიკალური პროექტის „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 ნიგნი“ 23-ე ტომი

კუბრუკუბ გჟჟემნე

3)) მბუიბ4 იცბც ბვ ეღეუბტუესტე ,ბჟუჟუბტბ,ბ7 ჰუვტესტენ ლბბ ხღუბ ლენჟღტს ვსჟაჟბჟ გჟუბბბხუბბ7 ვსენბტჟბ,ტუსტ ლუ ხუენჟუბბბ

უჟაბტს ლუ მბუჟბ ტჟსულ
* **კუკუ**

100 ადამიანები
კაჟანოვა

17-წლამღელაბი სლოჟენიას ავსტრიით იწყაბან

საქართველოს 17 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე სლოვენიაში 4-16 მაისს ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ ვასილ მისურაძის შეგირდებს ვგუფში მეტოქეებად გერმანიის, საფრანგეთისა და ისლანდიის ნაკრებები ევრო. მომავალ ტურნირთან დაკავშირებით მისურაძემ პრესკონფერენცია გამართა.

ვასილ მისურაძე:
 — პირველი თამაშის მოგება ან ვერმოგება რამდენადა დიდ გავლენას იქონიებს ტურნირში ჩვენს გამოსვლაზე, კარგად მოგეხსენებათ. ამიტომ, აქცენტს გერმანიასთან გამარჯვებაზე გავაკეთებთ. გერმანიის ნაკრების მიერ ჩატარებული სამი თამაშის ვიდეოფირი **ღასწუბი მე-9 აგურღუ**

შველად: 1. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ხჟუყდჟღბ ეფიასტუმროების ქსელის მფლობელი ფირმა; 2. ქართული სპორტული რადიო; 3. მოქმედი ვულკანი ისლანდიაში; 4. ფულის ერთეული ავღანეთში; 6. უფროსი მღველი ქართულ ეკლესიაში; 9. მუსიკალური ინტერვალი; 13. ბრიტანული საინფორმაციო სააგენტო; 14. მედიცინის ერთ-ერთი დარგი; 15. ბასკური ხალხური თამაში ბურთით; 17. ხელოვნური მარმარილო; 18. პოსტნულის მატეგული მწერი; 20. პატარა ტანის ცხენი.

თარაზულად: 1. ქალაქ იდესის ძველი სახელწოდება; 5. ოსური ცეკვა; 7. იმერეთში გავრცელებული შვეურწმთვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. მუშა-მოსამსახურეების მასობრივი დათხოვნა წარმოუგებლად, გავიცვის ჩახშობის მიზნით; 10. გერმანიის პრეზიდენტი; 11. ყველაზე დიდი მდინარე საფრანგეთში; 12. სახლზე მიშენებული ლია აივანი; 16. საცეცხლბუნი ზღვის ლაბინებრივი ცხოველი; 17. მათემატიკაში ჯამის აღმნიშვნელი ბერძნული ასო; 19. დამუტებული ატომი; 21. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 22. პატარა ბაღი; 23. მდინარე როინის ძველბერძნული სახელწოდება; 24. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

შუაგდანი თაფინაშუღლას

1	2				3		4	5	6
			7						
8		9						10	
					11				
		12							
					13			14	
	17		18			19		16	
					21				
22									20
					23			24	